ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3553876

ნომერი: AR1532668

თარიღი : 14.08.2017

გაცემის თარიღი : 20.09.2017

გაცნობის თარიღი : 26.09.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გუდამაყარი , N 4დ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა გუდამაყრის , N 4ე ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანზორ ცხოვრებაშვილი პ/ნ 01025000531
- თბილისი დიდი დიღომი ი.პეტრიწის ქ. N 13 ბ. 35

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. გე-ნი კოდი: 404898152

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 26 ივლისის N4134 ქალაქმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 17 აგვისტოს #AR1532668 განცხადებით მომართეს ანზორ ცხოვრებაშვილმა და დავით ხარაბაძემ, რომლებმაც მოითხოვეს ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 26 ივლისის N4134 ქალაქმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ შპს "დ პლუსის"

დირექტორის დავით ხარაბაძის განცხადების საფუძველზე 2007 წლის 26 ივლისს 1/12/7/5/7 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (ფართობი 2651 კვ.მ.) მრავალფუნქციური ობიექტის (საცხოვრებელი, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, საოფისე და სხვა) აშენების მიზნით დამტკიცდა N4134 ქალაქთმშენებლობითი პირობები.
ამის შემდგომ, საპროექტო მიწის ნაკვეთი გაიმიჯნა და სამსახურის 2011 წლის 9 ივნისის N2167 ბრძანებით ცვლილება შევიდა N4134 ქალაქთმშენებლობით პირობებში, კერძოდ, დაფიქსირდა საკადასტროები: 01.12.07.005.015 (ფართობი: 1303 კვ.მ.) და N01.12.07.005.014 (ფართობი 1348 კვ.მ.).
დღევანდელი მდგომარეობით განხორციელებულია 01.12.07.005.015 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის წითელი ხაზების კორექტირება, შესაბამისად, განმცხადებლები ითხოვენ N4134 ქალაქთმშენებლობითი პირობებში ცვლილების შეტანას, კერძოდ, ახალი საკადასტრო გეგმის დაფიქსირებას, რაც სამსახურმა დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად მიზანშეწონილად მიიჩნია.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 26 ივლისის N4134 ქალაქმშენებლობით პირობებში და დაფიქსირდეს საკადასტრო გეგმები: საკადასტრო კოდი: 01.12.07.005.015 განცხადების ნომერი: 882016642639 მომზადების თარიღი: 25/10/2016; ფართობი: 1303 კვ.მ; საკადასტრო კოდი: N01.12.07.005.014; რეგიტსრაციის ნომერი: N 882011256646, ფართობი:1348 კვ.მ, მომზადების თარიღი 06.06.11.;
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 26 ივლისის N4134 ქალაქმშენებლობით პირობებთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.